MES 7 22 0000430182

28/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 12.04.2022 წ
სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო 20:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი - დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი;
15. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი, დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ნინო ოკრიბელაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
3. **მაია ბიწკინაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
4. **თამარ ვალიშვილი -** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძარვანელი,ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ბიძინა კულუმბეგოვი -** ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის" მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
6. **ზაზა ავალიანი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის"მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
7. **მარინე გელანტია -** შპს "აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
8. **ნინო შარიქაძე -** შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
9. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
10. **ლევან რატიანი -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;
11. **გივი ჯავაშვილი -** საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **ხათუნა ზალდასტანიშვილი -** სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
13. **შორენა წიკლაური -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

14. **ნათია სხვიტარიძე -** სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
15. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები:

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
6	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
7	ნინო ალავიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
8	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
10	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
11	ნინო შიოშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
12	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი მაჩაბელი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	რექტორი	I
2	ნატალია ბარათელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I

		შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი		
3	ლოლიტა შენგელია	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I
	ირინე სახელაშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ვახტანგ ქავთარაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	კლინიკებთან ურთიერთობის კოორდინატორი	I
5	ლალი კოპტონაშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელი პერსონალი	I
6	გიორგი შენგელიძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელი პერსონალი	I
7	თამარ ქაცარავა	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელი პერსონალი	I
8	თამარ ალადაშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელიგანამხორციელებელი პერსონალი	I
9	ხათუნა დონდოლაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელი პერსონალი	I
10	ლაშა გულბანი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელი პერსონალი	I
11	ნანა ტურავა	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	როგრამის განამხორციელებელი პერსონალი	I
12	მაკა მურვანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგიის" ხელმძღვანელი, კოორდინატორი,პროფესორი	II, III

		სახელმწიფო უნივერსიტეტი		
13	ვაჟა ტრაპაიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგიის" ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II, III
14	ლია მაჭავარიანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სადოქტორო პროგრამა "გამოყენებითი ეკოლოგიის" ხელმძღვანელი	II, III
15	გიორგი მახარაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგიის" ხელმძღვანელი	II, III
16	თამარ ჭელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
17	გიორგი ბრეგვაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი	II, III
18	გურამ ქუთელია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგიის" ხელმძღვანელი	II, III
19	გრძელიძე ირმა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III

		თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
20	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევისა და შეფასებისა განყოფილების უფროსი	II, III

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	აზიმ მირზაზადე	(ჩაერთო ,,ზუმით”)	I
2	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო ,,ზუმით”)	I
3	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით”)	I
4	ირაკლი გაგუა	(ჩაერთო ,,ზუმით”)	I
5	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო ,,ზუმით”)	I
6	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო ,,ზუმით”)	II, III
7	მაია აზმაიფარაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით”)	II, III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკოლოგიის“სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი / Medical Doctor
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ქსნის ქუჩა N 35 ქ. თბილისი, 0140 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი და თვითაცილების საფუძველი
ეკა ეკალაძე - განახორციელა პროგრამის გარე შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აზიმ მირზაზადემ განაცხადა, რომ 2022 წლის 21-22 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა, მისი თავმჯდომარეობით შეაფასა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტის პირველ დღეს ჯგუფი ეწვია უნივერსიტეტის კამპუსს, სადაც გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ინტერვიუები შედგა დაწესებულების

ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პრაქტიკის ხელმძღვანელებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელთაც შესაძლოა სამომავლოდ კავშირი ექნებათ დაწესებულებასთან და აღნიშნულ პროგრამასთან. ამავე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა პრაქტიკის ლაბორატორიები და კლინიკური უნარების ცენტრი და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მეორე დღეს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს და ეწვია ორ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც სამომავლოდ დაგეგმილი იყო სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფა და განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასურველი იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა პროგრამის ძირითადი შეფასება და დასწრებოდა საბჭოს სხდომას ბოლომდე, იმისათვის რომ ექსპერტთა ჯგუფის მიმართ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით მიეწოდებინა შესაბამისი ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული იყო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა საკითხებს. თუმცა, ის ყურადღებას გაამახვილებდა რამდენიმე რეკომენდაციაზე და საკითხზე, რომელიც მისი მოსაზრებით გაჟღერებული უნდა ყოფილიყო საბჭოს სხდომაზე. მნიშვნელოვანი საკითხი იყო ის, რომ დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, ვინაიდან მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფს ჰქონდა ნამუშევარი დოკუმენტაციის მომზადებაზე და მთლიან პროცესზე. მათი ეს მოსაზრება ეყრდნობოდა ორი დღის მანძილზე განხორციელებულ შეხვედრებს. მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით მნიშვნელოვანი იყო პროგრამის სწავლის შედეგები და მათი მიღწევის შესაძლებლობები. თავმჯდომარის მოსაზრებით პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, მათი შედგენის სტრუქტურა არ იქნებოდა საკმარისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა გარკვეული მექანიზმების არსებობა პერსონალის განვითარების მიზნით, თუმცა დაწესებულებას ამ მიმართულებით კიდევ ბევრი ჰქონდა სამუშაო. კერძოდ, გამოყენებული უნდა ყოფილიყო შეფასების თანამედროვე მეთოდები, იმისათვის რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს შესაძლებლობა ჰქონოდა გაეყვანა სტუდენტი პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო გაუმჯობესებულიყო კავშირები კლინიკურ ბაზებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან, რომელთანაც იგეგმებოდა ურთიერთობა. ვიზიტის დროს ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაცია არ იყო საქმის კურსში თუ როგორ მოხდებოდა სტუდენტების ჩართვა როტაციაში და რა როლი ექნებოდათ სტუდენტებს მათ კლინიკაში. ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა შენიშვნები სტუდენტებისათვის გამოყოფილ სივრცეებთან დაკავშირებით, როგორც კლინიკებში ასევე უშუალოდ დაწესებულებაში. ასევე ვიზიტის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინვოისები გარკვეული რესურსების შესყიდვის შესახებ, მათ შორის მანეკენების შესყიდვის თაობაზე. ვინაიდან მოწოდებული ფინანსური დოკუმენტაცია თარიღდებოდა ვიზიტის შემდგომი თარიღით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მტკიცებულებები ვერ გაითვალისწინა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში. მაგალითად, აკადემიურ აქტივობებში, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებში, კონფერენციებში და ა.შ. ასევე ყურადსაღები იყო სტუდენტების მიერ გასაჩივრების მექანიზმების საკითხი. რაც შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფას, ვიზიტის დროს ჯგუფისათვის მიწოდებული იყო გარკვეული დოკუმენტები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა დაენახა ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით განხორციელებული რაიმე რეალური პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი, დაწესებულება ახორციელებდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის „სტომატოლოგიის“ პროგრამას, თუმცა ვერ დადგინდა

დოკუმენტაციაში გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები რეალურად ხორციელდებოდა თუ არა დაწესებულების მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებს, იმისათვის რომ მათაც დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.
აბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ დატოვა საბჭოს სხდომა.
ექსპერტმა ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ჯგუფის თავმჯდომარემ სრულად აღწერა პროგრამასთან დაკავშირებული გარემოებები, დასკვნაში ასახული რეკომენდაციები გახლდათ საერთო მსჯელობის შედეგი და მათი ჩამოყალიბება განხორციელდა ერთობლივად, თუმცა ამავე დროს გასათვალისწინებელი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი, გარკვეული სიტუაციები დაწესებულების მიერ გამოსწორებული იყო, მაგალითად, მანეკენების შეძენის საკითხი, მაგრამ ვინაიდან შესყიდვის დოკუმენტები წარმოდგენილი გახლდათ ვიზიტის დასრულების შემდგომ, ჯგუფმა ვერ გაითვალისწინა დასკვნაში აღნიშნული გარემოება. რამდენიმე რეკომენდაციის განხილვის შემთხვევაში, დაწესებულება მიუთითებდა რომ აღნიშნული გახლდათ ტექნიკური ხარვეზი, მაგალითად კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით და ა.შ. შესაბამისად ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნული საკითხები უმჯობესი იქნებოდა განხილული ყოფილიყო საბჭოს სხდომაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და დაინტერესდა რამდენად კარგად იცოდა მან დასკვნაში აღწერილი რეკომენდაციების და ნარატიული ტექსტის შესაბამისობა გაცემულ შეფასებებთან და ამ მხრივ რამდენად გააზრებულად იყო აღნიშნული დასკვნა დაწერილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასმულ შეკითხვას და მის პასუხს ჰქონდა ორი მხარე, ჯგუფს საკმაოდ კარგად ჰქონდა გააზრებული ის რეკომენდაციები და შეფასებები, რაც წარმოდგენილი იყო დასკვნაში, თუმცა ჯგუფს ასევე გააზრებული ჰქონდა ისიც, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები გახლდათ არა ექსპერტთა ჯგუფი არამედ საბჭო. აღნიშნული შეფასება გახლდათ საქართველოში მის მიერ განხორციელებული მესამე შეფასება, შესაბამისად ის საკმაოდ კარგად იყო გარკვეული სტანდარტებში და ესმოდა ის ძირითადი მოცემულობა, რაც არსებობდა საქართველოში სამედიცინო განათლების მიმართულებით. მაგალითად, როდესაც ის ამბობდა, რომ არ იყო საკმარისად განვითარებული სწავლა-სწავლების მეთოდები, ის პირდაპირ უკავშირებდა ამას იმ სწავლის შედეგებს, რომელსაც განსაზღვრავდა დარგობრივი მახასიათებელი. რაც შეეხებოდა იმას, ესმოდა თუ არა ჯგუფს დასკვნის წერის დროს ნეგატიური შედეგის დადგომის ასპექტი, აღნიშნული ჯგუფისათვის ცნობილი იყო, თუმცა პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები გახლდათ აკრედიტაციის საბჭო და არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და ხაზი გაუსვა რეკომენდაციებში წარმოდგენილ დუბლირებებს. გასაჩივრების წესის თაობაზე რეკომენდაცია წარმოდგენილი იყო დასკვნაში როგორც 2.6 კომპონენტში ასევე 3.1 კომპონენტშიც მაშინ, როდესაც აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით გასაჩივრების მექანიზმი გახლდათ 2.6 კომპონენტის ინდიკატორი. შესაბამისად მას აინტერესებდა რატომ იყო აღნიშნული დუბლირება დაფიქსირებული. რაც შეეხებოდა 2.4 კომპონენტს, წარმოდგენილი იყო რეკომენდაცია კლინიკების რაოდენობის გაზრდასთან და სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის დროს უფრო მეტი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მან დოკუმენტებში ნახა შვიდი მემორანდუმი, პროგრამა ჯერ არ ხორციელდებოდა თუმცა სახეზე იყო შვიდი მემორანდუმი. შესაბამისად, მას აინტერესებდა თუ რამ გამოიწვია ექსპერტებში აღნიშნული უკმაყოფილება, მაშინ როდესაც მემორანდუმებში წარმოდგენილი კლინიკები თავიანთი მოცულობით იყვნენ საკმაოდ ფართო მასშტაბიანები. მისი მესამე კითხვა ეხებოდა 2.5 კომპონენტს, სადაც ჩაწერილი იყო ყველა სილაბუსის გადახედვის თაობაზე და შეფასებული იყო როგორც ნაწილობრივი შესაბამისობა. იმ შემთხვევაში გადასახედი იყო ყველა სილაბუსი

რატომ იყო შეფასება ნაწილობრივი და არა შეუსაბამობა. ამავე კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაციის თანახმად, რეკომენდირებული იყო მთელი პერსონალის გადამზადება თანამედროვე სწავლების მეთოდებში. როგორც ცნობილი იყო 4.2 კომპონენტი ეხებოდა ადამიანურ რესურსს და აკადემიურ პერსონალს, შესაბამისად ინდიკატორი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა წარმოდგენილი იყო სწორედ მოცემულ კომპონენტში. მას აინტერესებდა თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი 4.2 კომპონენტში ზემოთ მოცემული რეკომენდაცია. 4.2 კომპონენტში ამავე დროს მოცემული იყო რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის სამედიცინო სფეროში განვითარებასთან დაკავშირებით, შესაბამისად მას აინტერსებდა ხომ არ ჰქონდა ადგილი ამ შემთხვევაში დუბლირებას. მისი მორიგი შეკითხვა ასევე მიმართული იყო ექსპერტებისადმი, 3.1 კომპონენტში წარმოდგენილი იყო ორი რეკომენდაცია. რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართულობას და სტუდენტებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას. მისთვის ცნობილი იყო რომ პროგრამა არის ახალი, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ამავე დაწესებულებაში მოქმედი სხვა პროგრამის სტუდენტებს, შესაბამისად მას აინტერესებდა თუ რამდენ სტუდენტს შეხვდნენ ექსპერტები, რა პრინციპით შეირჩა აღნიშნული სტუდენტები და რამდენმა სტუდენტმა განაცხადა, რომ ისინი განიცდიდნენ ინფორმაციის ნაკლებობას და მათ არ იცოდნენ ინსტიტუციაში კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ განაცხადა, რომ მას ასევე შეკითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან. მისი განცხადებით ის დეტალურად გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, დოკუმენტში წარმოდგენილი იყო მეორადი წყაროები, მეორადი წყაროების გამოყენება შესაძლებელი იყო და ამას არავინ არ კრძალავდა. განხილული იყო ირანის, თურქეთის, პაკისტანის და ერაყის მაგალითებზე მოსახლეობის ზრდის ტენდენციები და წარმოდგენილი იყო ინფორმაცია სამედიცინო მიმართულებით, როგორიც იყო სტომატოლოგია, საწოლ ფონდი, სამედიცინო უნივერსიტეტების დინამიკა. აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტის კავშირი პროგრამასთან გაურკვეველი იყო, ბოლო გვერდზე წარმოდგენილი იყო შეჯამება პროგრამის საფასურთან დაკავშირებით და აღნიშნული იყო რომ მოცემული მონაცემების თანახმად პროგრამის საფასური გახლდათ კონკურენტუნარიანი. შესაბამისად, მას უნდოდა მოესმინა დაწესებულების განმარტება შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტთან დაკავშირებით. მისი შემდეგი კითხვის ადრესატები იყვნენ ექსპერტები, მას აინტერესებდა, თუ პროგრამაში იკვეთებოდა სავალალო მდგომარეობა შეფასებებიდან გამომდინარე, 5.1 კომპონენტში, რომელიც ეხებოდა შიდა ხარისხის მექანიზმებს, შიდა ხარისხის შეფასებას, რატომ არ იყო წარმოდგენილი რეკომენდაცია ან რჩევა, ვინაიდან ყველა სტანდარტი პირდაპირ თუ ირიბად ერთმანეთთან იყო ბმაში. ასევე, მისი განცხადებით მან ვერ ნახა უცხოურ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი და მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენლებს არსებობის შემთხვევაში მიეთითებინათ მისთვის ასეთი დოკუმენტის შესახებ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ 3.1 კომპონენტში წარმოდგენილი იყო სამი რეკომენდაცია. სამივე რეკომენდაცია ანალოგიური შინაარსის გახლდათ, სადაც საუბარი იყო სტუდენტთა აქტივობებზე, გასაჩივრების მექანიზმებზე, კარიერული განვითარების საკითხებზე, იგივე ჩანაწერი წარმოდგენილი იყო რჩევების სახითაც. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული ჩანაწერები შინაარსის მიხედვით რეკომენდაციები უფრო იყო თუ რჩევები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია მოიპოვა სხვა პროგრამის, კერძოდ „სტომატოლოგიის“ პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრის დროს. საბჭოს წევრმა, ასევე გააგრძელა აღნიშნულ საკითხზე საუბარი და განაცხადა, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა გახლდათ ახალი და პროგრამას ჯერ არ ჰყავდა სტუდენტები, რამდენად რელევანტური იყო აღნიშნული კომპონენტის ნაწილობრივი შესაბამისობით შეფასება. მან, ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა დაზუსტება, პროგრამაზე მიღების წინაპირობების ნაწილში წარმოდგენილი იყო ჩანაწერი, რომლის მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, უწევდათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება, ხოლო საქართველოს

მოქალაქეებთან მიმართებით არ იყო ჩანაწერი, თუ რა რეგულაცია მოქმედებდა პროგრამაზე დაშვების მიზნით, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროგრამა იყო ინგლისურენოვანი.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა რეკომენდაციების და რჩევების დუბლირება. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რატომ მოხდა რეკომენდაციებში და რჩევებში იდენტური ტექსტები.
სტუდენტმა ექსპერტმა, გიორგი აბულაძემ პასუხი გასცა შეკითხვას 2.6 და 3.1 კომპონენტებში რეკომენდაციების დუბლირების თაობაზე. უშუალოდ რეკომენდაცია ეხებოდა გასაჩივრების მექანიზმების არსებობას დაწესებულებაში. მისი განცხადებით აღნიშნული შესაძლებელი იყო აღნიშნული რეკომენდაციის ორ ნაწილად გაყოფა, 2.6 კომპონენტში იგულისხმებოდა თუ რამდენად არსებობდა დაწესებულებაში აღნიშნული მექანიზმი და რამდენად მისაღები იყო ის სტუდენტებისათვის, ხოლო 3.1 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია გულისხმობს სტუდენტების ინფორმირებულობას დაწესებულების მხრიდან აღნიშნული მექანიზმის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, 3.1 კომპონენტში გამოიკვეთა რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაბამისი ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურასთან გასაჩივრებით, ხოლო 2.6 კომპონენტი გულისხმობდა იმას, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული შესაბამისი ფორმა.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ მიმართა ექსპერტებს და განაცხადა, რომ თუ იხელმძღვანელებდნენ სტანდარტებით მოცემული რეკომენდაციის ფორმულირება 3.1 კომპონენტში არ შეესაბამებოდა მოცემული ქვესტანდარტის ინდიკატორს.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ დუბლირების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა რომ, აღნიშნული საკითხი საინტერესო იყო როგორც ექსპერტებისათვის, ასევე პროგრამის განმახორციელებლებისთვისაც. მაგალითისათვის, ის თავად, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი, მიმდინარე კვირაში თავის პროგრამაში ცდილობდა გაერკვია საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ანგარიშის მომზადების პროცესში დუბლირების საკითხი. დასკვნა რომელიც განთავსებული იყო ცენტრის ვებ-გვერდზე მოიცავდა ერთსა და იმავე რეკომენდაციასა და რჩევას. რეკომენდაციების შესრულების ანგარიშზე მუშაობის პროცესში მას თავად აინტერესებდა, თუ როგორ უნდა ეხელმძღვანელა ერთნაირი რეკომენდაციის და რჩევის შემთხვევაში. შესაბამისად, დუბლირებები შესაძლებელი იყო ხშირად მომხდარიყო ყველა ტიპის დოკუმენტში, რომელიც შესრულებული იყო შეფასების პროცესში ექსპერტის მიერ და ჩამოყალიბებული იყო საბოლოო დოკუმენტის სახით. აღსანიშნავი იყო ასევე ინტეგრირებული კურიკულუმების განხორციელებაზე გადასვლის საკითხი, რომელიც გახლდათ სპეციფიკური და გვხვდებოდა უფრო მეტად სამედიცინო მიმართულებით საქართველოში. აღნიშნულიდან გამომდინარე ცოტა რთული იყო გამიჯვნა და ხაზის გავლება სხვადასხვა სტანდარტისა და კომპონენტის შეფასების დროს. შესაძლოა არ ყოფილიყო ინდიკატორი, თუმცა მოცემული ინსტრუმენტის გარეშე რთული იქნებოდა დასახული მიზნის მიღწევა გარკვეული კომპონენტის შეფასების დროს. რაც შეეხებოდა კლინიკებს და მემორანდუმებს, ხშირ შემთხვევაში მემორანდუმები გახლდათ ზოგადი და არ იძლეოდა სრულ ინფორმაციას. სხვადასხვა დაწესებულების პროგრამების შეფასების დროს ექსპერტები ხშირად ხვდებიან მემორანდუმებს ერთსა და იმავე კლინიკებთან. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება ხოლმე კლინიკური გარემოთი მაქსიმალური რაოდენობის სტუდენტების დაშვების გარანტიები. აღნიშნულ გარემოებაზე ასევე მსჯელობდნენ დარგობრივი საბჭოს წარმომადგენლები დარგობრივი სტანდარტების განახლების დროს და გამოიკვეთა აუცილებლობა კლინიკებთან არა ზოგადი არამედ კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ, სადაც მოცემული იქნება სრული ინფორმაცია ამა თუ იმ კლინიკის კონკრეტული დეპარტამენტი რამდენ პაციენტს ემსახურება, როგორი ბრუნვა აქვთ და ა.შ. მოცემული ცვლილება მიუხედავად იმისა რომ ჯერ არ იყო შესული ძალაში, იძლეოდა იმის საშუალებას შეფასებული ყოფილიყო აღნიშნული მიდგომით, თუ რამდენად რელევანტური იყო მოცემული დოკუმენტაცია. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, მისი მოსაზრებით თითოეული კომპონენტის შეფასება გახლდათ ამომწურავი და თუკი აღინიშნა, რომ სილაბუსების უმეტესობა საჭიროებდა გადახედვას, კონკრეტულად მას მიმდინარე მომენტში

არ ახსენდებოდა ვინაიდან დასკვნაზე მუშაობის დროს ექსპერტებს შორის როგორც წესი ნაწილდებოდა ფუნქციები და თითოეული ექსპერტი მუშაობდა კონკრეტულ სტანდარტზე, მაგრამ იგულისხმებოდა რომ მაგალითად ასი სილაბუსიდან გადასახედი იყო ოთხმოცი.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ განაცხადა რომ სილაბუსები წარმოადგენდნენ პროგრამის უმნიშვნელოვანეს ბირთვს. ესაბამისად მან მოითხოვა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გაეკეთებინა იმ ექსპერტს, რომელიც მუშაობდა შინაარსზე.
ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა რომ, მეორე სტანდარტზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო რამდენიმე ექსპერტი, მან შეგნებულად გადახედა 2.5 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებს, რომელიც ეხებოდა ყველა სილაბუსის გადახედვას და ყველა აკადემიური პერსონალის გადამზადებას თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებში მედიცინის მიმართულებით. სილაბუსების უმეტესობაში ფიქსირდებოდა გარკვეული ხარვეზები, რომლის მიხედვითაც გაიცა რეკომენდაციები. თუმცა მისი მოსაზრებით სიტყვა „ყველა“ უნდა ყოფილიყო შეცვლილი სხვა ფორმულირებით და აღნიშნული სიტყვა არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ინსტიტუციის მიერ მოწოდებულ უკუკავშირში დაწესებულება აღნიშნავდა რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას. ავარაუდოდ, ექსპერტთა ჯგუფს მოცემული სიტყვა გამოეპარა. რაც შეეხებოდა განმახორციელებელ პერსონალს, ინტერვიუს პროცესში მას ახსენდებოდა მხოლოდ რამდენიმე პირი, რომელიც აქტიურად იყო გათვითცნობიერებული თანამედროვე სწავლა - სწავლების მეთოდებში. ინტერვიუს დროს შექმნილი ფონი მიუთითებდა იმაზე, რომ მეტ პერსონალს ესაჭიროებოდა გადამზადება. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია რეკომენდაციის შემუშავება.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე კატეგორიული რეკომენდაცია, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა ძირეული კომპონენტების შესაბამისობას მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის დადგენილ სტანდარტებთან. ამდენად, ის გარკვეულწილად არ დაეთანხმა ექსპერტ ჯილდა ჭეიშვილის განმარტებას, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი სავარაუდოდ სრულად გაეცნო თუ როგორ იყო ფორმულირებული რეკომენდაციები და იმ შემთხვევაში თუ რეკომენდაციაში აღნიშნული იყო ყველა სილაბუსის გადახედვის აუცილებლობა სწავლისა და სწავლების შეფასების მეთოდების თვალსაზრისით ეჭვის ქვეშ დგებოდა, თუ რამდენად აღწევდა კონკრეტული კურსები სწავლის შედეგებს. ასევე საყურადღებო იყო დასკვნაში მოცემული მე-11 და მე-12 რეკომენდაციები, რომელთა შინაარსი დღევანდელი მოცემულობით საბჭოს წინაშე აყენებდა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს. მოცემული პროგრამა უკვე განთავსებული იყო დაწესებულების ვებ გვერდზე, სადაც მითითებული იყო, რომ პროგრამა გახლდათ აკრედიტაციის პროცესში. მან მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ თავიანთი დასაბუთება იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მოცემული სახით პროგრამა გასულიყო სწავლის შედეგზე, რომელსაც მოითხოვდა დარგობრივი მახასიათებელი და მოცემული მახასითებლით განსაზღვრული სტანდარტები. ის ასევე დაინტერესდა სიმულატორებით, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მოცემული აღჭურვილობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ იხილეს ვიზიტის დასრულების შემდგომ, თუმცა რეგულაციებიდან გამომდინარე ამ მონაცემების გათვალისწინება დასკვნის პროექტში ვერ განხორციელდა. საინტერესო იყო რამდენად გადაიჭრა მიღებული ინფორმაციით სიმულატორებთან დაკავშირებული პრობლემა, რაც ასახული გახლდათ დასკვნაში. ასევე საინტერესო იყო ის გარემოებაც, რომ დასკვნაში კარგად არ ჩანდა თუ რას ეხებოდა პრობლემა - სიმულატორების რაოდენობის თუ სახეობების დეფიციტს.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ მიმართა დაწესებულებას დაეზუსტებინათ თუ როგორ განხორციელდებოდა ინგლისური ენის ფლობის დონის განსაზღვრა როგორც უცხოელი ასევე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. გარკვეული ინფორმაცია ასახული იყო პროგრამაში ზოგადი განმარტების სახით, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული და ვინაიდან დაწესებულებას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მოცემული პროგრამა თავის ვებ გვერდზე სასურველი იქნებოდა ინფორმაცია ამის თაობაზე დაზუსტებული ყოფილიყო. ასევე

მან მიმართა ექსპერტებს მეტი განმარტება გაეკეთებინათ თანამედროვე სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით, რომლის თაობაზე ვრცლად იყო საუბარი დასკვნის დოკუმენტში. რაც შეეხებოდა კლინიკებს, მემორანდუმებში და ხელშეკრულებებში არ ჩანდა პაციენტების რაოდენობა, რომელთაც ნახავდნენ სტუდენტები და არ არის გადმოცემული კონკრეტული მონაცემები ნოზოლოგიური პროფილის შესახებ. შესაბამისად მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ განემარტათ, თუ როგორ გეგმავდნენ სტუდენტებისათვის განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის შეთავაზებას.

საბჭოს წევრმა, დავით ტეფნაძემ განაცხადა რომ, დასკვნის მიხედვით ინტერვიუები განხორციელდა „ფარმაციის“ და „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან. ვინაიდან „ფარმაციის“ პროგრამა გახლდათ ინგლისურენოვანი, მან კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, ჰქონდათ თუ არა საშუალება გასაუბრებოდნენ მოცემული პროგრამის სტუდენტებს და ხომ არ გადამოწმებულა მათთან თუ რამდენად ჰქონდა დაცული დაწესებულებას მიღების წინაპირობების რეგულაცია ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, ხომ არ დასმულა შეკითხვები თუ როგორ დასტურდებოდა მათი ინგლისური ენის ცოდნის დონე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აპელაციის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა იმას რომ არსებულიყო აპელაციის პროცესები და სტუდენტებს აღნიშნულ აპელაციის პროცესებზე ჰქონოდათ ინფორმაცია. მისი მოსაზრებით აღნიშნული არ წარმოადგენდა ერთი და იგივე საკითხს. ასევე გაიჟღერა რომ 3.1 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებში ფიქსირდებოდა დუბლირებები. რეკომენდაციები 14, 15, 16 და 17 ეხებოდა განსხვავებულ საკითხებს და ის არ თვლიდა რომ ადგილი ჰქონდა დუბლირებას. ვინაიდან პროგრამა იყო ახალი, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია შესაძლებლობა შეხვედროდნენ სტუდენტებს კლინიკურ გარემოში, ჯგუფი ადგილზე გაესაუბრა მხოლოდ ორ სტუდენტს „ფარმაციის“ და „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, ორივე გახლდათ თურქი ეროვნების, თუმცა იყვნენ მობილობით გადმოსულები უკრაინული უნივერსიტეტიდან. სწორედ მათთან შეხვედრის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები. ასევე, მანდ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტების შერჩევაში. რაც შეეხებოდა მოსაზრებას 4.2 კომპონენტში დუბლირების თაობაზე, პროგრამის განვითარების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო აკადემიური პერსონალის განვითარება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სხვადასხვა მიმართულებებით რაზეც გაცემული იყო რეკომენდაციები. ასევე აუცილებელი იყო პრაქტიკის ობიექტების გამრავალფეროვნება, მემორანდუმებში როგორც უკვე აღინიშნა არ იყო განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობები და ასევე გასათვალისწინებელი იყო რომ ერთ კლინიკას ჰქონდა არაერთი მემორანდუმი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა რომ ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ორ კლინიკას. ერთ-ერთი გახლდათ „ავერსის“ კლინიკა ხოლო მეორე „ინ ვიტრო“ კლინიკა. ერთ-ერთი კლინიკის დირექტორმა განაცხადა, რომ მის კლინიკას ჰქონდა არაერთი მემორანდუმი გაფორმებული, მის კლინიკაში სტუდენტების დიდი რაოდენობის მოძრაობა ფიქსირდებოდა, თუმცა როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ენახათ სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო ფართები, ნახეს მცირე მოცულობის ორი ოთახი. სწორედ ამ მოცემულობიდან შემუშავდა შემდგომ რეკომენდაცია. უნივერსიტეტის განცხადებით იგეგმებოდა პირველ ეტაპზე ასამდე სტუდენტის მიღება. შესაბამისად გაჩნდა კითხვა როგორ მოახერხებდა კლინიკა დამატებითი რაოდენობის სტუდენტებისათვის დამატებითი კლინიკური ფართის გამოყოფას. რაც შეეხებოდა მეორე კლინიკას, მისი ხელმძღვანელი არ იყო გათვითცნობიერებული თუ რას მოიცავდა მემორანდუმი. კლინიკის ხელმძღვანელმა საერთოდ ვერ აუხსნა ჯგუფს თუ რა კავშირი არსებობდა მათ კლინიკასა და ინსტიტუციას შორის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს არ შეექმნა სრული წარმოდგენა თუ როგორ მოახერხებდა დაწესებულება ასი სტუდენტისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების უზრუნველყოფას.

საბჭოს წევრმა, ზაზა ავალიანმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება და განაცხადა, რომ მეცნიერებაში არსებობდა სტანდარტი, რომლის მიხედვით ინფორმაცია უნდა ყოფილიყო

სარწმუნო და სანდო, მეთოდოლოგიურად და სტატისტიკურად გამართული. არცერთი მაღალი იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალი არ მიიღებდა სტატიას, სადაც სანდო და სარწმუნო სტატისტიკური და მეთოდოლოგიური პრინციპით არ იქნებოდა მასალა შესწავლილი, დამუშავებული, გავლილი და ანალიტიკა გაკეთებული. შესაბამისად, ერთ სტუდენტთან გასაუბრებით დასკვნის გაკეთება გამოდიოდა სუბიექტური შეფასება. არადარგობრივი, სხვა ფაკულტეტის სტუდენტის ნაამბობით წარმოდგენის შექმნა მომავალში როგორ იფუნქციონირებდა ფაკულტეტი, არ იყო მიზანშეწონილი და სწორი. რაც შეეხებოდა კლინიკებს, თუ მათ ექნებოდათ სტუდენტის თავშეყრის ოთახები და ყოველი საორდინატოროს მერე იქნებოდა სასწავლო ოთახები არ იქნებოდა დიდ კავშირში კლინიკურ სწავლებასთან. კლინიკის დანიშნულებას წარმოადგენდა ის, რომ სტუდენტს სულ უნდა ემოძრავა და ყოფილიყო პაციენტის საწოლთან. შესაბამისად, აღნიშნული შეფასება უფრო მეტად წარმოადგენდა არასარწმუნო კომპონენტს. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც მოუწოდებდა ყველა აკადემიური პერსონალის განვითარებაზე, არ არსებობდა ინსტიტუცია სადაც პედაგოგი არ საჭიროებდა განვითარებას. ყველაზე განვითარებულ პედაგოგსაც კი ესაჭიროებდა განვითარება დარგის სწრაფი განახლების ფონზე. რაც შეეხებოდა იმ ინსტიტუციების შეფასება, რომლებიც ახლიდან ქმნიდნენ პროგრამებს, ის ცუდად არ შეაფასებდა ასეთი დაწესებულების ნამუშევრებს. თუმცა ასევე ცხადი იყო რომ უნდა ყოფილიყო განვითარების პოტენციალი პროგრამულად, სისტემურად, კადრების თავლსაზრისით და კლინიკებთან მიმართებაშიც.

საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა რამოდენიმე კითხვა ინსტიტუციის მისამართით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 89 ნაშრომი იყო გამოქვეყნებული საერთაშორისო ჟურნალებში. ინსტიტუციას ჰყავდა 8 აფილირებული პროფესორი, შესაბამისად მას აინტერესებდა აღნიშნული 89 ნაშრომი ეკუთვნოდა თუ არა არსებულ 8 აფილირებულ პროფესორს. ასევე მოცემული იყო ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ გაუქმებული იყო სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. დასაზუსტებელი იყო მოხდა აღნიშნული სამსახურის ჩანაცვლება თუ სტრუქტურის შეცვლა. ასევე მოცემული იყო ჩანაწერი, რომ გაუქმებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ჩანაცვლდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერით. შესაბამისად, მას აინტერესებდა, იმ შემთხვევაში თუ გაუქმებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იქნებოდა თუ არა პასუხისმგებელი დაწესებულებაში უკვე მოქმედ ორ პროგრამაზე და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაზე. ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფას ჰქონდა ბევრი მიმართულება, მისი მოსაზრებით ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა პროცესების კონტროლს სრულყოფილად. რაც შეეხებოდა უშუალოდ პროგრამის სტრუქტურას და შიდა ჩაშლას, წარმოდგენილი იყო შინაგანი მედიცინის პირველი ნაწილი, რომელშიც შედიოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემა და პულმონოლოგია. მთლიანად აღნიშნულ ნაწილს მინიჭებული ჰქონდა 5 კრედიტი და იყო თანაბრად გაყოფილი. კარდიოლოგიის ნაწილს ეთმობოდა მხოლოდ 34 საათი თავისი პრაქტიკული კომპონენტით და შეადგენდა 2.5 კრედიტს. გამომდინარე იქედან, რომ დარგობრივ დოკუმენტში არსებობდა ჩანაწერი კარდიოვასკულარული დაავადებების გაზრდილი რიცხვის შესახებ, აუცილებელი იყო აღნიშნული მიმართულებით ყურადღების გამახვილება და სწავლება ყოფილიყო კონცენტრირებული ამ მიმართულებაზე, რამდენად იყო საკმარისი 34 საათი. ასევე დარგობრივ მახასიათებელში მოცემული იყო ერთ-ერთი სწავლის შედეგი, რომელიც შეეხებოდა კარდიოგრამის გადაღებას და ეკგ-ს დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში ვერ ნახა მსგავსი სწავლის შედეგი, ასევე აღნიშნული არ მოიძებნა არც თერაპიის და არც პაციენტის გამოკვლევის სწავლის შედეგებში. SBSR მოცემული იყო რუქაში მე-12 სემესტრში ორი კონკრეტული შედეგის შესაფასებლად. აღნიშნული გახლდათ არა მხოლოდ შეფასების მეთოდი, არამედ ის იყო ასევე სწავლების მიდგომის ერთ-ერთი მეთოდი და ძირითადად გამოიყენებოდა პრეკლინიკურ ეტაპზე. შესაბამისად საინტერესო იქნებოდა აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების პოზიციის მოსმენა.

საბჭოს წევრს, ნინო ჭალაგანიძეს კითხვა ჰქონდა როგორც ექსპერტებთან ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა თუ რა იგულისხმებოდა პროგრამის განვითარების და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობაში, მაშინ როდესაც პროგრამა ჯერ არ ხორციელდებოდა. გასაგებია, რომ მხედველობაში მიღებულ იქნა სხვა პროგრამის გარემოებები, თუმცა რეკომენდაცია გაიცა მოცემულ პროგრამასთან მიმართებით. ასევე, დასკვნაში წარმოდგენილი იყო რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა შედეგების მიღწევის ძლიერი სისტემის შექმნას. მას აინტერესებდა როგორ აპირებდა და გეგმავდა დაწესებულება შედეგების მიღწევის შეფასების ძლიერი სისტემის შექმნას.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ განაცხადა რომ საბჭოს წევრებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ცალკე საქაღალდის სახით იყო წარმოდგენილი მემორანდუმები უცხოელ პარტნიორებთან. აღნიშნული მემორანდუმების ნაწილზე არ იყო მითითებული თარიღი, მათ შინაარსში იკითხებოდა რომ მემორანდუმები გაფორმებული იყო 2 წლის ვადით მაგრამ არსებული მდგომარეობით მემორანდუმები აღარ იყო ვალიდური. ზოგიერთი მემორანდუმის ნაწილზე არ ფიქსირდებოდა გაფორმების თარიღი. მას აინტერესებდა ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მემორანდუმები, დაზუსტდა თუ არა მოქმედების ვადები და იყო თუ არა შესაძლებელი აღნიშნულ ორგანიზაციებთან მემორანდუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა განაცხადა, რომ 21-ე რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ ვერ დადასტურდა პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით პერსონალს უდასტურდება ინგლისური ენის კომპეტენცია. მას აინტერესებდა, თუ რის საფუძველზე გაჩნდა მოცემული რეკომენდაცია, გამოავლინეს თუ არა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს ინგლისური ენის ცოდნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სიმულაციის ცენტრს ჰქონდა ბევრი რესურსი, თუმცა უმეტესობა ინსტრუმენტებისა არ იყო რელევანტური „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი პროგრამის დონისათვის. რაც შეეხებოდა იმას, გამოსწორდა თუ არა სიტუაცია ვიზიტის შემდგომ დოკუმენტაციის წარმოდგენით აღნიშნული მიმართულებით, ნებისმიერ სააკრედიტაციო სისტემაში რომელთანაც მას ჰქონია შეხება, ყოველთვის იყო შეზღუდული დრო რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იყო დოკუმენტაციის და ახალი ინფორმაციის წარმოდგენა. ასეთი ლიმიტების დაწესების გარეშე იქნებოდა ქაოსი. შესაბამისად მსჯელობა იმის თაობაზე გამოსწორებული იყო თუ არა სიტუაცია მოცემულ მომენტში საკანონმდებლო ფუნქციიდან გამომდინარე არ იქნებოდა რელევანტური, ვინაიდან ვადა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოსადგენად იყო გასული. რაც შეეხებოდა საბჭოს წევრის, ზაზა ავალიანის კომენტარს, რომელიც ეხებოდა სანდოობასა და ვალიდურობას, გამომდინარე იქედან რომ შეხვედრას ადგილზე დაესწრო მხოლოდ ორი სტუდენტი, სხვა არჩევანი ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია, გარდა იმისა რომ ემსჯელათ იმ მონაცემებზე დაყრდნობით რაც ამ ორ სტუდენტთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა. რაც შეეხებოდა პერსონალის განვითარებას, მას კარგად ესმოდა რომ ეს გახლდათ დაუსრულებელი პროცესი. მას გააჩნდა საკმარისი გამოცდილება იმისათვის რომ მყარად ემსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად როდესაც საუბარი და მსჯელობა ეხებოდა გარკვეულ უკმარისობას, აღნიშნული ეყრდნობოდა გამოცდილებას. მსჯელობა ეფუძნებოდა იმ ინფორმაციას და დოკუმენტაციას, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წვდომა შეფასების ფარგლებში. მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია მხოლოდ ორ ონლაინ ვორქშოპზე, რაც მისი მოსაზრებით არ იყო საკმარისი, ვინაიდან აქცენტები არ კეთდებოდა შეფასების სხვადასხვა მეთოდებზე. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა ის პერსონალის უწყვეტი განვითარების მექანიზმები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კლინიკური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას თავად ჰქონდა გამოცდილება, როგორც ერთ-ერთი კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელს სადაც განთავსებული იყო 52 საწოლზე მეტი და კარგად ესმოდა

სასწავლო ოთახების მნიშვნელობა იმ სამედიცინო სივრცეში სადაც სტუდენტებს მასწავლებლებთან ერთად უნდა განეხილათ სხვადასხვა საკითხი. თუმცა ამავე დროზე სივრცეებზე მნიშვნელოვანი გახლდათ სტუდენტის შესაძლებლობა მუდმივად ჰქონოდა ინტერაქციის შესაძლებლობა პაციენტთან. აღსანიშნავი იყო, რომ ერთ-ერთი კლინიკის შემთხვევაში, რომელსაც სტუმრობდა ექსპერტთა ჯგუფი, ხელმძღვანელმა არ იცოდა თუ რა უნდა გაეკეთებინათ სტუდენტებს მის კლინიკაში. კლინიკის ხელმძღვანელის განცხადებით მას მიღებული ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მისი მოსაზრებით აღნიშნული არ იყო საკმარისი და ასეთ შემთხვევაში მემორანდუმის არსებობა მოკლებული იყო აზრს. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ყველა სილაბუსის გადახედვის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა რომ სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები არ იყო სწავლის შედეგების მისაღწევად რელევანტური. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სილაბუსების უმეტესობა. მაგალითად, დიდაქტიკურ კურსებში, თითქმის უმეტესობაში გამოყენებული იყო ლექცია-სემინარი და მეტი არაფერი. შესაბამისად, ჯგუფმა დაინახა ნამდვილი საჭიროება გადახედილიყო ყველა სილაბუსი, იმისათვის რომ მიღწეული ყოფილიყო სწავლის შედეგები. რაც შეეხებოდა შეკითხვას ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების ჩართვას პროგრამის განვითარებაში, პირველ რიგში ცნობილი იყო რომ პროგრამა გახლდათ ახალი, მიუხედავად ამისა პროგრამის განვითარების ფარგლებში უნივერსიტეტს უნდა მოესმინა მეტი სტუდენტის მოსაზრება. პროგრამის განვითარება არ ნიშნავდა მხოლოდ მის შექმნას. პროგრამის განხორციელებამდე დაწესებულებას მოსმენილი უნდა ჰქონოდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების რაც შეიძლება მეტი მოსაზრება. რაც შეეხებოდა პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციას, დოკუმენტურად შესაძლებელი იყო აღნიშნულის დადასტურება, თუმცა მათი შეფასება გამომდინარეობდა შეხვედრებიდან. ვინაიდან პროგრამა გახლდათ ინგლისური და პერსონალს მოუწევდა სწავლება ინგლისურ ენაზე, კომუნიკაციაში მათ უნდა გამოევლინათ ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენცია. რაც შეეხებოდა კომენტარს თუ რამდენად ლოგიკური გახლდათ 3.1 კომპონენტის შეფასება ნაწილობრივი შესაბამისობით, მაშინ როცა პროგრამას ჯერ არ ჰყავდა სტუდენტები, თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებას ჰყავდა სხვა პროგრამის სტუდენტები და მსჯელობა აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით წარმოიშვა სწორედ სხვა პროგრამის სტუდენტებზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ირინა სახელაშვილმა სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრის თაობაზე განაცხადა რომ საბჭოს მსვლელობისას მართებულად იქნა გამოთქმული შენიშვნა ყველა სილაბუსის გადახედვასთან დაკავშირებით. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტ ჯილდა ჭეიშვილს იმის თაობაზე, რომ მისი განცხადებით დასკვნაში არ უნდა ყოფილიყო ნახსენები ყველა სილაბუსი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასევე ამ თვალსაზრისით აღნიშნული იყო მხოლოდ რამოდენიმე სილაბუსი და ეხებოდა დიაგნოსტიკის და დიაგნოსტიკა 2 -ის სილაბუსს. აღნიშნულ სილაბუსებთან დაკავშირებით შენიშვნა დაწესებულების მიერ გაზიარებული იყო და აღინიშნა რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა, რაც ხშირად შეიძლება მომხდარიყო როდესაც სქემებთან და ცხრილებთან ჰქონდათ საქმე. რაც შეეხებოდა მანეკენებს ნებართვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მცირე ზომის ვიდეოს ჩართვა სადაც გამოჩნდებოდა კლინიკური გამოცდების სადგურების აღჭურვილობა თანამედროვე მულაჟებით და სიმულაციური მანეკენებით, რომელიც საჭირო იყო სტუდენტებისათვის კლინიკური უნარების განსავითარებლად. მისი მოსაზრებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან კომუნიკაციის თვალსაზრისით გაუგებრობას. თავად ვიზიტის დროს ექსპერტებმა ნახეს რომ კლინიკური უნარების გამოცდების სადგურები საკმარისზე მეტად იყო აღჭურვილი, თავად ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღჭურვილობა იყო იმაზე მეტი ვიდრე იყო განსაზღვრული „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო

პროგრამისათვის, როდესაც მან ნახა ლაპარასკოპიის ხელსაწყო და განაცხადა, რომ ის უფრო მეტად შეეფერებოდა სადოქტორო საფეხურის პროგრამას. მათ ასევე შეეძლოთ ეჩვენებინათ დათარიღებული ანგარიშ ფაქტურები და გაგზავნილი ელექტრონული ფოსტა, რომლითაც დადასტურდებოდა რომ მანეკენები შეძენილი იყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს და იყო გზაში. ასევე დასკვნის მიხედვით ექსპერტები აღნიშნავდნენ რომ დაწესებულება ახდენდა OSCE -ს გამოცდის ჩაწერას დისტანციური კამერების საშუალებით და აღნიშნული კამერებით შეუძლებელი იყო იმ ნატიფი მოძრაობების ჩაწერა რაც შეფასებისთვის იყო აუცილებელი. აღსანიშნავი იყო, რომ დისტანციური კამერები იყო საკმაოდ მობილური, შექმნილი იყო თანამედროვე ტექნოლოგიით და გამოიყენებოდა როგორც დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც ორმაგი დაკვირვების საშუალებას იძლეოდა ან გამოიყენებოდა აპელაციის შემთხვევაში. თავად გამოცდა მიმდინარეობდა გამომცდელი პედაგოგის უშუალო დასწრებით და მონაწილეობით. გამოიყენებოდა ჩექლისთები და სცენარი და ყველა ის ინსტრუმენტი რაც გამოცდის წარმატებით ჩატარებისათვის იყო საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამედიცინო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაზრდაზე კლინიკური სწავლებისათვის არავინ დაობდა, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც პროგრამის განხორციელება იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ, მათ უკვე გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი შვიდ კლინიკასთან. ექსპერტების მიერ გამოთქმული იყო პოზიცია, რომ აღნიშნულ კლინიკებში არ იყო საკმარისი სივრცე სტუდენტებისათვის და ეჭვის ქვეშ იდგა თუ რამდენად წარმატებით განხორციელდებოდა კლინიკური პრაქტიკა და მიიღწეოდა სწავლის შედეგი. მიუხედავად იმისა რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უკვე მესამედ მონაწილეობდა საქართველოში შეფასების პროცესში, ის ნაკლებად იცნობდა ქართულ რეალობას და სიტუაციას. თუმცა ქართველი ექსპერტები კარგად იცნობდნენ არსებულ სიტუაციას და იმედია დაეთანხმებოდნენ რომ „ევექსის“ კლინიკებს და „ავერსის“ კლინიკას აუცილებლად ჰქონდა საკმარისი რაოდენობის სივრცე იმისათვის რომ მათ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მიეღოთ შესაბამისი პრაქტიკული უნარები. ასევე უნივერსიტეტი სამომავლოდ გეგმავდა საკუთარი კლინიკის აშენებას, აღნიშნული ასახული იყო მათ სტრატეგიულ გეგმაშიც და ვიზიტის დროს ამის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდათ ექსპერტებსაც, თუმცა სამწუხაროდ აღნიშნული ინფორმაცია რატომღაც არ იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ კლინიკის აშენების გეგმა გასაგები იყო, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა ფაქტობრივი გარემოებებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს და განაცხადა, რომ ის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აფილერებული პროფესორი გახლდათ და იქაც ექნებოდა სავალდებულო დატვირთა. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ის გახლდათ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი და მოწვეული პროფესორი, მისი დატვირთვა შეადგენდა კვირაში 2 საათს საღამოს საათებში. ასევე ის გახლდათ შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის და შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. მისი სალექციო კურსების სრული დატვირთვა შეადგენდა 22 საათს. მისთვის როგორც პროფესიონალისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო კვლევითი საქმიანობა, ხოლო აკადემიურ საქმიანობას დროს უთმობდა იქედან გამომდინარე რომ სწავლას და ცოდნას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ღირებულება, ფასი და მნიშვნელობა თუკი ხდებოდა მისი გაზიარება სტუდენტებთან და ახალ თაობასთან. რაც შეეხებოდა მის თანამშრომლობას და მოტივაციას შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმთან, რაც კითხვის ქვეშ დადგა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ მოხდება მოცემული პროგრამის აკრედიტაცია ის მიიღებდა გადაწყვეტილებას გაეწყვიტა თანამშრომლობა ყველა სხვა უნივერსიტეტთან. პროგრამაზე გუნდის მუშაობა მიმდინარეობდა

ერთ წელზე მეტი დრო, მას სხვა დაწესებულების სახელით ჩატარებული ჰქონდა არაერთი კვლევა და სტუდენტებთან ერთად მიღებული ჰქონდა სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ დააზუსტა რომ მისი შეკითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად მდგრადი იქნებოდა პროგრამა თუ მისი ხელმძღვანელი გახლდათ საკმაოდ დაკავებული პერსონა და აფილირებული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამ შემთხვევაში საუბარი იყო პროგრამის მდგრადობის საკითზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის მაქსიმალურად იყო დაინტერესებული პროგრამის განხორციელებით, რაც გახლდათ მისი კომპეტენციის და ღირებულებების თემა. თუ პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას ის გააკეთებდა ყველაფერს რომ პროგრამა განხორციელებულიყო წარმატებულად. რა თქმა უნდა რეკომენდაციები და რჩევები იყო გარკვეულწილად მისაღები და გასათვალისწინებელი, მაგრამ პროგრამა როგორც დოკუმენტი არ გახლდათ დოგმა, ის იყო ცოცხალი ორგანიზმი რომელიც აუცილებლად გადამუშავდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეტაპზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით, ის ვერ გაიზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას. ასევე ვერ გაიზიარებდა რეკომენდაციას პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით და მან მიმართა ექსპერტებს კონკრეტულად დაესახელებინათ თუ ვის არ ჰქონდა აღნიშნული კომპეტენცია. აღნიშნული გახლდათ პროფესიული შეურაცხყოფა, ვინაიდან პროგრამის განხორციელებაში სამომავლოდ ჩართულ პირებს ჰქონდათ „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლების გამოცდილება. ამის გადამოწმება იყო მარტივი, მათ წარმოდგენილი ჰქონდა აღნიშნული პირების რეზიუმეები. მათ ჰქონდათ მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება ინგლისურ ენაზე სწავლების. რაც შეეხებოდა გადამზადებას თანამედროვე სწავლების მეთოდებში, შესაბამისი დოკუმენტაციით წარმოდგენილი იყო აკადემიური პერსონალის დონე. 35 ადამიანი ჯერ კიდევ ვიზიტამდე იყო გადამზადებული, ასევე 10 პერსონალი თავად იყო ტრენერი. მათ ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ ჩანაწერები გადამზადების და გაურკვეველი იყო თუ რატომ ვერ ნახა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ 2 ჩანაწერზე მეტი. რაც შეეხებოდა შენიშვნას CBCR - თან დაკავშირებით, პრეკლინიკურ საგნებში იყო გათვალისწინებული სწავლების მეთოდად და არა მხოლოდ შეფასების მეთოდად. მას შეეძლო მიეწოდებინა თანამედროვე სტატია სადაც CBCR წარმოდგენილი იყო სწავლების მეთოდთან ერთად შეფასების მეთოდადაც. რაც შეეხება იმას რომ ეკგ-ს დაუფლება არ იყო წარმოდგენილი სწავლის შედეგის სახით, ცოტა უხერხული იქნებოდა სილაბუსში პრაქტიკული უნარების სწავლის შედეგად გაწერა, რომელსაც სხვადასხვა კურაციის და თეორიული სწავლების დროს გაივლიდნენ სტუდენტები. ზოგადი მითითება, რომ სტუდენტები დაეუფლებიან დიაგნოსტიკის სხვადასხვა მეთოდებს მითითებულია სწავლის შედეგებში დაწვრილებით და კონკრეტულად კლინიკური უნარების სილაბუსებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა შენიშვნას ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, თუმცა თანამედროვე მედიცინაში და თანამედროვე მეცნიერებაში სადაც ლაპარაკია მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე, მოუწოდებენ სტუდენტებს გამოიყენონ უახლესი ლიტერატურა, მტკიცებულებები და ცოდნა იმიტომ რომ ის რაც იქნებოდა სწორი წინა დღით შესაძლოა არ ყოფილიყო მართალი მომდევნო დღეს. შესაბამისად მნიშვნელოვანი იყო განახლებული ინფორმაცია მიწოდებული ყოფილიყო სტუდენტებისათვის. ამიტომ მომზადებული იყო ონლაინ რესურსების ბაზა, თუმცა საბიბლიოთეკო ბეჭდურ მასალაზე დიდად არ უზრუნიათ საწყის ეტაპზე, მაგრამ გაფართოება სამომავლოდ აუცილებლად მოხდება. ასევე ბეჭდური მასალის არსებობა სავალდებულო არ არის. მისთვის ასევე გაუგებარი იყო თუ რატომ ჩაითვალა აუდიტორიები არასაკმარისად მაშინ როდესაც იგეგმებოდა 50 სტუდენტის მიღება და 2 ჯგუფად დაყოფა, შესაბამისად აუდიტორიები საკმარისზე მეტი იყო. თანამედროვე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, შესაძლებელი იყო რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე კარგად არ იყო გარკვეული

ქართული სილაბუსების ფორმატში. სწავლა მიმდინარეობდა ლექციისა და პრაქტიკულების სახით, ასევე ლექციები ეყრდნობოდა დიდაქტიკურ სწავლებას და მასალის მიწოდებას რაც აღწერილი იყო სილაბუსებში. ყველა სილაბუსში დიდატიკური სწავლების გარდა გამოყენებული იყო ინტერაქციული მეთოდები, თავად იყენებდა შემთხვევების სწავლებას და შემთხვევებით სწავლების მეთოდებით შეფასებასაც. ასევე სილაბუსებში ასახული იყო როგორ განხორციელდებოდა CBCR - ით მასალის მიწოდება და ასევე ასახული იყო PBL. ასევე იზიარებდნენ მოსაზრებას რომ PBL სწავლების საათები არ იყო საკმარისი, მაგრამ პროგრამა გახლდათ ცოცხალი ორგანიზმი და მისი განახლება საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა მაშინ როდესაც ცხადად დაინახავდნენ პროგრამის ხარვეზებს. მათ ასევე გაკეთებული ჰქონდათ პროგრამის შიდა და გარე შეფასებები. შიდა შეფასება გაკეთებული იყო სამედიცინო საზოგადოების და ექსპერტთა გუნდის საუკეთესო წარმომადგენლების მიერ და გათვალისწინებული იყო მოსაზრებები. ასევე გაკეთებული იყო გარე შეფასება სადაც ორმა საუკეთესო რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ექსპერტმა იმუშავა და ნამდვილად არ გამორჩებოდათ ის რაც ექსპერტთა ჯგუფმა მათ ნაკლად ჩაუთვალა.

საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა ხარისხის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა აღნიშნული სამსახურების რესტრუქტურიზაცია და არ იყო გაუქმებული მთლიანად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა განაცხადა რომ დაწესებულებამ განიცადა რეორგანიზაცია, რომლის პროცესში მოხდა პროგრამის წარმოდგენა სააკრედიტაციოდ. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური გადანაწილდა კოორდინატორების სახით ფაკულტეტებზე რომ არ ყოფილიყო დუბლირება და განისაზღვრა ხარისხის სამსახურის მენეჯერი, რომელსაც ჰყავდა ორი სპეციალისტი. შესაბამისად მოხდა კადრების გაზრდა და არა გაუქმება. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს და რჩევებს, მან აღნიშნა რომ რეკომენდაციები და რჩევები მართლად მეორდებოდა შინაარსობრივად. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს იმისათვის რომ მათ კარგად შეისწავლეს დოკუმენტაცია. მათი მოსაზრებით ის რაც შესაძლებელი იყო ჩატეულიყო ერთ რეკომენდაციაში, გადატანილი იყო ოთხ-ხუთ რეკომენდაციაში. მაგალითად, პროგრამის განვითარებაში ჩართული უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მხარეები. მათ კარგად იცოდნენ რომ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდა პროფესორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. მათ კარგად იცოდნენ რომ პროგრამამ გახლდათ რეგულირებადი და სტანდარტის შექმნაზე მუშაობდა დამსაქმებელთა უზარმაზარი არმია და პროფესორ-მასწავლებლები. ისინი სრულად ემორჩილებოდნენ აღნიშნულ სტანდარტს. დასკვნაში ექსპერტების მიერ ასახული იყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდა როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული გახლდათ სერიოზული განაცხადი ექსპერტების მიერ და ის მათ ამისათვის მადლობას უხდიდა. ერთ-ერთი რეკომენდაცია ინტერესდებოდა თუ როგორ გეგმავდა დაწესებულება შედეგების შესაფასებლად ძლიერი სისტემის შექმნას. სისტემა რომ შექმნილი იყო და ჩამოყალიბებული ამას ექსპერტები აღნიშნავდნენ. მათ დაგეგმეს აღნიშნული პროცესი და თუ არ დაიწყებდნენ განხორციელებას, არ გააკეთებდნენ მონიტორინგს და არ შეაფასებდნენ, ვერანაირად ვერ შეიქმნებოდა ძლიერი სისტემა. ძლიერ სისტემას ქმნიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით შექმნილი ყველა დოკუმენტაცია გადაგზავნილი ჰქონდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. დაწესებულება ასევე სერიოზულად მიუდგა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებებს, რაც გადმოცემული იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. კერძოდ, პროგრამის პერსონალის გამოკითხვის დოკუმენტში და სრულად იყო ასახული თუ როგორ ხდებოდა შეფასება. ასევე წარმოდგენილი იყო შესაბამისი შეფასებების შედეგების ანალიზები. რაც შეეხებოდა გასაჩივრების პროცედურებს, სხვა დანართების საქაღალდეში მითითებული იყო თუ როგორ

დასტურდებოდა ენობრივი კომპეტენცია. ეს არ ეხებოდა მხოლოდ ინგლისურენოვან პროგრამაზე შესულ სტუდენტებს. აქ მოიაზრებოდა სხვა პროგრამების სტუდენტები სადაც საკმაოდ სერიოზულ დონეზე ისწავლებოდა ინგლისური ენა. აღნიშნულ დოკუმენტში საკმაოდ კარგად ჩანდა თუ როგორ ხდებოდა შერჩევა. ასევე აღნიშნულ დოკუმენტშიც იყო მითითებული გასაჩივრების მექანიზმების პროცედურებზე. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მითითებული იყო ყველა დოკუმენტი. მათ ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდეს შესყიდვების ინვოისები, ხარისხის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციის დოკუმენტი და მოხდა ბიუჯეტის დაზუსტება. რაც შეეხებოდა შეფასების მეთოდებს, პრაქტიკიდან გამომდინარე მეთოდების დახვეწა ხდებოდა ჯგუფის მიხედვით. შესაბამისად თუ პროგრამას არ ეყოლებოდა სტუდენტები, არ განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი, ვერ მოხდებოდა პროგრამის დახვეწა და განვითარება. ხოლო რაც სავალდებულო იყო იქამდე სანამ პროგრამა დაიწყებდა ფუნქციონირებას, დაწესებულებას ყველაფერი ჰქონდა გაკეთებული. დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან მისი მოსაზრებით ზოგიერთი ატარებდა რჩევის ხასიათს. მაგალითად, რეკომენდაცია რომელშიც ეწერა რომ გასაუმჯობესებელი იყო სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობა კონფერენციებში, გულისხმობდა მას რომ მათ ეს აქტივობები ჰქონდათ მაგრამ საჭიროებდა კიდევ უფრო გაუმჯობესებას. რაც შეეხებოდა მანეკენების თემას, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს გადასცა შესყიდვის დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფი მათ დაეთანხმა, მაგრამ პანდემიის პირობებში მოხდა ტრანსპორტირების დაგვიანება. 17 თებერვალს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, მას შემდეგ რაც ინვენტარი განთავსდა დაწესებულებაში. შესაბამისად აღნიშნულის არგათვალისწინება იყო რთული. რა თქმა უნდა დასკვნაში იყო დაწესებულებისათვის ღირებული რეკომენდაციებიც, რომელსაც დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა. რაც შეეხებოდა კითხვას აფილირების შესახებ, მედიცინის პროგრამაზე რომელსაც ჯერ არ ჰქონდა მიღებული აკრედიტაცია ცოტა რთული იყო აღნიშნულის უზრუნველყოფა, თუმცა მიუხედავად ამისა მათ ჰყავდათ რვა აფილირებული პერსონალი. რაც შეეხებოდა კლინიკის აფილირებას, ყველას კარგად მოეხსენებოდა რომ თუ პროგრამას არ ჰქონდა ჯერ მინიჭებული აკრედიტაცია, რომელიმე კლინიკასთან აფილირება იყო წარმოუდგენელი და მიუღწეველი ნაბიჯი. თუმცა იმ შემთხვევაში თუ პროგრამას მიენიჭებოდა აკრედიტაცია დაწესებულება უკვე შეძლებდა კლინიკასთან აფილირებას.

ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ განაცხადა რომ განხილვების ფონზე იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ის ინსტრუმენტები რომლითაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პროგრამის შეფასება იყო სადაო. შეფასებები და დასკვნები გაკეთდა მხოლოდ და მხოლოდ შეხვედრების და ინტერვიუების საფუძველზე, ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელი აცხადებდა რომ 2 წლის წინ გაფორმებული მემორანდუმი გახლდათ დრაფტი და მას არ ახსოვდა აღნიშნულის თაობაზე. ასევე მეორე კლინიკაში ვიზიტის დროს შეიქმნა შთაბეჭდილება რომ მათ არ იცოდნენ თუ რა იყო ექსპერტთა ჯგუფის მათთან ვიზიტის მიზანი, ვიანიდან გაკვირვებული იყვნენ როდესაც ჯგუფი სვამდა შეკითხვებს, რამაც გამოიწვია მათი გაღიზიანება. პროგრამა როგორ განხორციელდებოდა იყო ხვალინდელი დღის საკითხი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რომ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების შეფასებას ეს ცხადი იყო, მაგრამ მოცემულ მომენტში მსჯელობა ეხებოდა იმას თუ რა რეალური სურათი დახვდათ ექსპერტებს ვიზიტის დროს. რეკომენდაციები მომზადდა ინტერვიუების შედეგად და ექსპერტთა ჯგუფს ნამდვილად არ ჰქონია დაგეგმილი რაიმე სახის სადამსჯელო ღონისძიება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სადაც გაწერილი იყო შესაბამისი ვალდებულებები რაც დაეკისრებოდათ მხარეებს. იმ შემთხვევაში თუ დაიწყებოდა კლინიკური კურსები დაწესებულება თავიდან ბოლომდე გაწერდა თუ რა ევალებოდა კლინიკას და თავად დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა რომ ის არ ასწავლიდა ისეთ საგანს სადაც ისწავლებოდა PBL. არ იყენებდა აღნიშნულ მეთოდს არც სწავლების და არც

შეფასების მეთოდად. შესაბამისად იყო გარკვეული შეცდომა, ის ასწავლიდა CBCR - ს და იყენებდა ქეისებს თუმცა ეს არ იყო მისი ინტელექტუალური საკუთრება. იმ შემთხვევაში თუ ამოქმედდებოდა პროგრამა დაწესებულება პროგრამის ფარგლებში აუცილებლად შექმნიდა PBL ბანკს.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შესვენების დაწყების დრო 17:30
დამთავრების დრო 19:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

კერძოდ, საბჭოს წევრებმა დაამატეს რამდენიმე რეკომენდაცია და შეცვალეს სტანდარტების შეფასება. 2.1 და 2.2 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, 2.5. კომპონენტის შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრეს, როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, რის საფუძველზეც მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“ . 3.1 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, როს საფუძველზეც მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“; 4.3. კომპონენტის შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრეს, „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, რის საფუძველზეც მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“; 5.1. კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“, , რის საფუძველზეც მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან“.

რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად დაედო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას:

1. საჭიროა ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის, მათ შორის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სერიოზული ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, მათ შორის, სწავლის შედეგების შემუშავებაშიუნდა შეიქმნას ძლიერი სისტემა შედეგების მიღწევის შესაფასებლად;
2. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს/დაკონკრეტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები (ინგლისური ენა) საქართველოს მოქალაქეებისთვის.
3. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და კარდიოლოგიის სწავლებაზე გამოყოფილი ECTS კრედიტების რაოდენობა/მოცულობა.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა (პათოლოგია1, პათოლოგია2, დიაგნოსტირების მეთოდები1 და დიაგნოსტირების მეთოდი 2, სილაბუსები-CAP) , კომპეტენციის რუკაზე შესაბამისი ასახვა შემდგომში სწავლის შედეგების მიღწევის უზურუნველსაყოფად;
5. კომპეტენციის რუკა(დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას;
6. რეკომენდებულია მანეკენების მიწოდება, რომლებიც აუცილებელია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
7. რეკომენდირებულია OSCE-ს გამომცდელების მხრიდან გამოსაცდელთათვის შესაბამისი სივრცის მოწყობა;
8. რეკომენდებულია სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა კლინიკური კურსებისთვის.

9. საჭიროა კლინიკებთან მოლაპარაკება, რათა მეტი სივრცე იყოს გამოყოფილი სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტების სასწავლო მიზნებისთვის;
10. საჭიროა ყველა სილაბუსის გადახედვა სწავლებისა და სწავლის იმ მეთოდების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შესაფერისია კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად;
11. რეკომენდირებულია მთელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების თანამედროვე სწავლების მეთოდებში;
12. სასწავლო მასალების(PBL შემთხვევების, სცენარების) ფლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტიტუციურ/პროგრამულ დონეზე და არა ინდივიდუალურზე, რაც ხელსშეუწყობს პროგრამის მდგრადობას;
13. შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს;
14. რეკომენდებულია სილაბუსებში მკაფიოდ იყოს ახსნილი შეფასების კრიტერიუმები;
15. საჭიროა გასაჩივრების პროცესის დაზუსტება;
16. სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გასაჩივრების სათანადო მექანიზმით;
17. სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში, როგორებიცაა პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები და კვლევები, უფრო სერიოზულად უნდა იქნას განხილული;
18. სტუდენტები მეტი ინფორმაციით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის შესახებ;
19. საჭიროა სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის ნორმების დადგენა და პერსონალი ს ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შემუშავება;
20. უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის მდგრადი განვითარება სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის(აკადემიურიდაადმინისტრაციული) მნიშვნელოვანი რაოდენობით.
21. გაუმჯობესდეს ზოგიერთი მასწავლებლის ინგლისური ენის კომპეტენციები
22. დაწესებულებაში პროგრამა უნდა აჩვენებდეს სწავლებისა და აკადემიური მუშაობის შეფასების სისტემის მოქმედებას როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ ასპექტებზე;
23. პროგრამები საჭიროებს სამედიცინო განათლების განვითარების სფეროში პერსონალის მომზადების დიდ ძალისხმევას, მათ შორის უშუალო კურსებსა და ვორქშოპებს კურიკულუმის დიზაინისა და შემუშავების, სწავლების/სწავლის და შეფასების შესახებ;
24. აუდიტორიებში საკმარისი რაოდენობის ადგილები უნდა იყოს სტუდენტთა სხვადასხვა ნაკადისათვის.
25. საჭიროა კლინიკური უნარების ცენტრის უზრუნველყოფა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსებისათვის შესაბამისი და ადეკვატური რაოდენობის აღჭურვილობით;
26. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი ფართით;
27. გაძლიერდეს თანამშრომლობა კლინიკურ ბაზებთან;
28. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების სრულფასოვნად ამოქმედება, შემდგომში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
29. რეკომენდებულია დამსაქმებელთა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში;
30. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აუცილებელია დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი შეხედულებების გაზიარება;
31. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესებმა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატური ჩართულობა განვითარებაში და მონაცემთა ანალიზში;
32. უნივერსიტეტის ხარისხის შიდა შეფასების სისტემამ უნდა შეაფასოს სასწავლო და კვლევითი აქტივობები, გააანალიზოს და გამოიყენოს შეფასების შედეგები შემდგომი

განვითარების შესაძლო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგისათვის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და მისიის შესასრულებლად;

33. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი იყოს დაწესებულებასთან აფილირებული პერსონალი.

რჩევები:

1. უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი იმუშავებს საავადმყოფოსთან აფილირებაზე;
2. პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით;
3. უნდა მოხდეს სწავლის საფასურის შედარება ადგილობრივ შრომის ბაზართან;
4. სასურველია პროგრამის განვითარების კვლევის ჩატარება ანონიმურად და სიღრმისეული მიდგომის უზრუნველყოფა, რათა მიღებული შედეგები იყოს პროდუქტიული და პროგრამის გაუმჯობესებისკენ მიმართული;
5. სასურველია ახალი პროგრამის შემუშავებისას თვითშეფასების პროცესში ალტერნატიული პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მაქსიმალურად ჩართვა.

საბჭოს/სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 24
წინააღმდეგი: 4

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომა დატოვეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #196 (28 ოქტომბერი, 2011)
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ეკოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა - 0521
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	ეკოლოგიის ბაკალავრი, 1102
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ მე-2 კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

ესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„გამოყენებითი ეკოლოგია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	**აკრედიტებული**
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 11 ივლისის N202 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	„გამოყენებითი ეკოლოგია“ (ინტერდისციპინური)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკოლოგიის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა – 0521
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	ეკოლოგიის დოქტორი (1102)
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ მე-2 კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

ინო ჭალაგანიძე- დასაქმებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ირინა გველესიანი- დასაქმებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
დავით ჩოჩიშვილი - დასაქმებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ვინაიდან "ეკოლოგიის" საბაკალავრო და "გამოყენებითი ეკოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების პროცესში მონაწილეობა მიიღო ექსპერტთა ერთმა ჯგუფმა, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ორივე პროგრამა განეხილათ ერთი სათათბირო შესვენების ფარგლებში.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ ითხოვა სიტყვა და განაცხადა, სურდა ტექნიკური საკითხის დაზუსტება და დააკონკრეტა რომ მათ ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდათ დოკუმენტაცია პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით.
ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ განაცხადა რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის დადგენის მიზნით ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამა 1,2 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშრებით. პირველი სტანდარტი ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რაც განპირობებული იყო იმით რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი გახლდათ ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული და ასახული უნდა ყოფილიყო თუ რა ცოდნის და უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტის მომზადებაზე იყო ორიენტირებული პროგრამა. სამწუხაროდ პროგრამის მიზნები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ განაცხადი ამ კუთხით იყო ძალიან ზოგადი და არ ჩანდა თუ რა ცოდნის და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იყო მიმართული პროგრამა. შესაბამისად ამ კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია ემსახურებოდა სწორედ ამ მიზნის დახვეწას. ასევე მეტწილი შესაბამისობით არის შეფასებული მეორე სტანდარტიც. სასწავლო კურსის და პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. სასწავლო კურსებთან დაკავშირდებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება იყო ის რომ პროგრამის სტუდენტები რომელთათვისაც პროგრამაში გათვალისწინებული იყო შესაბამისი პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები, უფრო მეტად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პირველ და მეორე კურსებზე იმისათვის რომ სტუდენტს მესამე კურსზე საშუალება ჰქონოდა ჩაეტარებინა პრაქტიკული სამუშაოები. მაგალითად, 4 სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა ქიმიის სასწავლო კურსები და ნაკლებად გამოიყენებოდა პრაქტიკული ლაბორატორიული სამუშაოები. სტუდენტი მზად უნდა ყოფილიყო კომპლექსური ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად მომდევნო სემესტრის საგნებში სადაც გათვალისწინებული იყო პრაქტიკული სამუშაოები. ასევე ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, სწავლის შედეგები უნდა ყოფილიყო კონკრეტული და არა ზოგადი. ზოგიერთ კურსში, მაგ: ზოოლოგიის და ბოტანიკის სასწავლო კურსებში საჭირო იყო სწავლის შედეგების დახვეწა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ პროგრამის გასაძლიერებლად და გარკვეულწილად კლასტერული აკრედიტაციის პროცესების მოსამზადებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზანთან დაკავშირებული რეკომენდაციასთან დაკავშირებით იტყოდა იმას რომ, მიზანი შესაძლებელი იყო რომ დახვეწილიყო თუმცა მისი მოსაზრებით ის კარგად ასახავდა თუ რა ცოდნის და კომპეტენციების სტუდენტის მომზადებას ისახავდა მიზნად და გარკვეულწილად ასახავდა თუ რა წვლილის შეტანა შეეძლო პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში და ის რომ პროგრამა გახლდათ ერთ-ერთი გამორჩეული ჩანდა სტუდენტების და აპლიკანტების დიდი რაოდენობით და ნამდვილად ითვალისწინებდა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა რომ პროგრამა იყო წარმატებული, ყოველწლიურად პროგრამაზე სტუდენტების რიცხვი იზრდებოდა. უცნაური იყო 1.1 კომპონენტში ნაწილობრივი შესაბამისობა, როდესაც გაცემული იყო მხოლოდ 1 რეკომენდაცია.

საეჭვო იყო აღნიშნული იმიტომ ხომ არ გაკეთდა, რომ საბოლოო შეფასება ყოფილიყო მეტწილი შესაბამისობა. მისი მოსაზრებით თუ რა უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებდა სტუდენტი უფრო კონკრეტულად მოცემული უნდა ყოფილიყო სწავლის შედეგებში. რაც შეეხებოდა ქიმიის შესავალს, სტუდენტების რაოდენობა ამ საგანზე შეადგენდა 600-800 სტუდენტს, შესაბამისად ეს კურსი იყო ძალიან ზოგადი და წარმოდგენილი იყო გაცნობითი ხასიათით. რაც შეეხებოდა ქიმია 2-ს ის გახლდათ უფრო დეტალური. შესაძლებელი იყო საკითხების გადაფარვა მაგრამ ეს სრულიად მისაღები იყო პირველ ეტაპზე. რაც შეეხება ლაბორატორიებს, მნიშვნელოვანი იყო ჯამური ლაბორატორიული სამუშაოების განსაზღვრა. რაც შეეხებოდა ქიმიის საველე პრაქტიკას, აღნიშნული არ იყო რელევანტური.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ საველე პრაქტიკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საველე პრაქტიკა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ბიოლოგიურ მეცნიერებასთან კავშირში, ვინაიდან პროგრამას ჰქონდა უფრო ფართო განაცხადი იმის თაობაზე რომ ასწავლიდა სტუდენტს ეკოლოგიის საფუძვლებს და გარემოში მიმდინარე პროცესების ზემოქმედებას ცოცხალ ორგანიზმებზე, ეკოლოგიური ფიზიკას, ეკოლოგიურ ქიმიას, გეოგრაფიას და ა.შ. შესაბამისად მათი მოსაზრებით უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო საველე პრაქტიკის ეკოლოგიის მიმართულებით და არა ბიოლოგიის.

ექსპერტმა მაია აზმაიფარაშვილმა განაცხადა, რომ პრაქტიკის წინაპირობად იყო ბიოლოგიის შესავალი რაც ემსახურებოდა რეალურ გარემოში და სივრცეში მოპოვებული ცოდნის და უნარების გამოცდილების გამოყენებას, ისწავლებოდა მეოთხე სემესტრში და სწორედ ეს აჩენდა კითხვას თუ რატომ ისწავლებოდა მეოთხე სემესტრში. წინაპირობაც იყო ძალიან საინტერესო.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, ვინაიდან ექსპერტები მიუთითებდნენ რომ უნდა გაძლიერებულიყო პრაქტიკა მას აინტერესებდა გადიოდა თუ არა სწავლის შედეგებზე.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ ნაკლებად გადიოდა პროგრამით გაცხადებული დარგობრივი სწავლის შედეგზე მხოლოდ წარმოდგენილი საველე პრაქტიკით. საველე პრაქტიკა უნდა ყოფილიყო გარემოსმცოდნეობაში და ეკოლოგიაში და არა მხოლოდ ბიოლოგიაში. თუ პროგრამა ამბობდა რომ ეკოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია და ა.შ იყო მისი მიმართულება სად იყო მაშინ პრაქტიკა. ამიტომ მიჩნეული იქნა რომ რეკომენდაცია მნიშვნელოვანი იყო პროგრამისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტს საველე პრაქტიკის სწავლების მნიშვნელობაში, თუმცა ვერ დაეთანხმება რომ პრაქტიკა აგებული იყო მხოლოდ ფლორასა და ფაუნაზე. სილაბუსში მითითებული იყო რომ პრაქტიკა საშუალებას მიცემდა სტუდენტს სცოდნოდა არა მარტო ფლორა და ფაუნა არამედ ლანდშაფტების მრავალფეროვნება და ბიოეკოლოგია. მისი მოსაზრებით ეს გახლდათ ეკოლოგიური თვალთახედვა და ამაში ექსპერტებიც დაეთანხმებოდნენ. რაც შეეხებოდა ეკოლოგიურ ქიმიასა და ფიზიკას მას ვერ წარმოედგინა როგორ შეიძლებოდა საველე პირობებში ცოდნის მიცემა. პრაქტიკა ისწავლებოდა მეოთხე სემესტრში და ამ სემესტრისთვის სტუდენტებს მიღებული ჰქონდათ ღრმა ცოდნა ბოტანიკისა და ზოოლოგიის მიმართულებით და ხდებოდა ამ ცოდნის გამყარება საველე პრაქტიკის მეშვეობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკა მოცემული უნდა ყოფილიყო ან მეორე ან მეოთხე სემესტრში და ვიანიდან მეორე სემესტრი გახლდათ პირველი კურსი, მიზანშეწონილი იყო ის წარმოდგენილი ყოფილიყო მეოთხე სემესტრში.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ საველე პრაქტიკის გაძლიერება სწავლის შედეგების თვალსაზრისით რომელიც აქცენტს აკეთებდა მხოლოდ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე. დაწესებულება მიიღებდა თუ არა რეკომენდაციას იყო დაწესებულების გადასაწყვეტი, მათ სურვილი იყო მოცემული რეკომენდაციებით დახმარებოდნენ მათ პროგრამის განვითარებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნა წარმოდგენილი იყო მათ სასიკეთოდ. თუ ისინი გაითვალისწინებდნენ ექსპერტების შენიშვნებს მათი დატვირთვა გაიზრდებოდა ორჯერ. აღნიშნულ შენიშვნებზე დაწესებულებამ უარი განაცხადა იმიტომ რომ

ეს გახლდათ თეორიული საგანი, რომელიც ამზადებდა მომავლისთვის. მაგალითად, წონასწორობის გათვლის მეთოდები, მიგრაციის ფორმების გათვლა და ა.შ. მას რომ მიგრაციის ფორმები გადაეტანა პრაქტიკულში ეს იქნებოდა სადოქტორო დისერტაცია. თეორია მზადდებოდა ხოლო პრაქტიკული ლაბორატორია გადატანილი იყო შემდეგ სემესტრში. ექსპერტებს გამორჩენილი ჰქონდათ ჰიდროქიმია და ანალიზური ქიმია, არჩევითი საგანი.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ არჩევითი საგანი არ იყო გათვალისწინებული ძირითად საგანში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა დუბლირების საკითხი თემების მიხედვით სასწავლო კურსებში. მას აინტერესებდა განმახორციელებელი პირი ხომ არ იყო ერთი და იგივე და ხო არ ხდებოდა ლიტერატურის დუბლირებაც.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ განმახორციელებელი პირი იყო ერთი და იგივე, თუმცა დაწესებულების გადასაწყვეტი იყო თუ რა გზას აირჩევდა და როგორ შეხედავდნენ რჩევებს და რეკომენდაციებს. მისი მოსაზრებით სტუდენტებს ძალიან სჭირდებოდათ არაორგანული ქიმიის საკითხები, რომელსაც არ იძლეოდა მთლიანი ქიმიის კურსი რაც გათვალისწინებული იყო პროგრამით, მისი მოსაზრებით აღნიშნული ალბათ იყო ტექნიკური ხარვეზი, ვინიდან შეუძლებელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულიყო ორი იდენტური ქიმიის კურსი და ორივეს გაეთვალისწინებინა მხოლოდ ორგანული ქიმია და საერთოდ არ გაეკეთებინა აქცენტი არაორგანულ ქიმიაზე.

ექსპერტმა მაია აზმაიფარაშვილმა განაცხადა, რომ თითქმის ყველა სილაბუსი გადიოდა ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობაზე და მას სურდა დაწესებულებისაგან მოესმინა აღნიშნულთან დაკავშირებით მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ის ესწრებოდა შეხვედრებს ჩარჩოსთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, იყო განსხვავებული დამოკიდებულებები ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა საბოლოო ჯამში მიღწეული იქნა შეთანხმება რომ შესაძლებელი იყო ყველა კურსი გასულიყო ავტონომიურობაზე და პასუხისმგებლობაზე. უნივერსიტეტი გახლდათ ავტონომიური იყო თავის გადაწყვეტილებებში, შესაბამისად იქნებოდა თუ არა საწყის სემესტრებში გათვალისწინებული პრაქტიკა ეს იყო უნივერსიტეტის აკადემიური პასუხისმგებლობა და პროგრამის სპეციფიკა იძლეოდა იმის საშუალებას რომ პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებული ყოფილიყო მეოთხე სემესტრში.

საბჭო გადავიდა მესამე საკითხის განხილვაზე (“გამოყენებითი ეკოლოგიის” სადოქტორო პროგრამა)

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ მათ შეისწავლეს შესაბამისი დოკუმენტაცია და მათ კარგად ესმოდა დაწესებულების გამოწვევა თუ რაოდენ რთული იყო მოქმედი წლების განმავლობაში შემუშავებული პროგრამა, განსაკუთრებით 2011-2012 წლებში მოქმედი სტანდარტების მიხედვით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები როგორ უნდა მოქცეულიყო ახალ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში. ფაქტიურად უნდა დაწერილიყო ახალი პროგრამა და გადახალისებულიყო მოქმედი. ძველი კლასიფიკატორის მიხედვით ეკოლოგია გახლდათ მიმართულებათაშორისი დარგი და ჰქონდა სრულიად განსხვავებული აღწერა. ახალი ჩარჩოს მიხედვით ეკოლოგია გადმოსული იყო საბუნებისმეტყველო საგნებში გარემოსმცოდნეობის კუთხით. ექსპერტების სურვილი იყო აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო მეტად ყოფილიყო წარმოჩენილი დარგობრივი სფეროს შესაბამისობა, რაც იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. გარემოსმცოდნეობის მიმართულების დარგობრივი სფერო იყო ამოსავალი წერტილი რაც მოიცავდა ორგანიზმების ურთიერთობას და მათ ერთობლიობაში შესწავლას. ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა უცხო ენის ფლობის გათვალისწინებას წინაპირობის სახით მისაღები გამოცდების დროს. აღნიშნული მნიშვნელოვანი იყო ვინაიდან პროგრამა იყენებდა ინგლისურ ლიტერატურას და სხვადასხვა საერთაშორისო უცხოენოვან სტატიებს და გამოცემებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში

წარმოდგენილი ყოფილიყო ასევე ეკოლოგიური კვლევის მეთოდები და ეს ყოფილიყო არა მხოლოდ გეოგრაფიის, გეოლოგიის და ა.შ. მეოთხე რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა მეცნიერების მენეჯმენტს დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ გადატანილ იქნა რჩევაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ, სადოქტორო პროგრამაში მნიშვნელოვანი იყო თუ რა კვალიფიკაცია ჰქონდა განმახორციელებელ პერსონალს კვლევითი თვალსაზრისით. აღსანიშნავი იყო რომ აკადემიურ პერსონალს ჰქონდათ გამოქვეყნებები საკმაოდ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში რაც გახლდათ ძალიან მყარი საფუძველი იმისა რომ მათ შეეძლოთ აღეზარდათ მაღალი ხარისხის დოქტორანტები. შესაბამისად მათი დებულებით განსაზღვრული იყო რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების მქონე აკადემიური პირი. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგებს, სადოქტორო პროგრამა იყო განსხვავებული თავისი სპეციფიკით, შესაბამისად როგორც შედეგები ასევე ის რაც ეწერა კვლევის მეთოდოლოგიაში უკავშირდებოდა კვლევით თემატიკას. ეკოლოგია იმდენად ფართო სფერო გახლდათ რომ შესაძლებელი იყო ყოფილიყო აურაცხელი თემატიკები. შესაბამისად იწერებოდა მხოლოდ ის თემები რისი განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდა დაწესებულებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებს განსაზღვრავდა ის კვლევითი მიმართულებები რომლებიც მოიაზრებოდა მათ პროგრამაში. ეს იყო გამოყენებითი ეკოლოგიის ის კონკრეტული მიმართულებები როგორიც იყო გეოგრაფიული ეკოლოგია, ბიო ეკოლოგია, აგრო ეკოლოგია და ა.შ. სწავლის საფეხურიდან გამომდინარე პროგრამა ვერ იქნებოდა ზოგადი, შესაბამისად ის ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მიმართულებებზე და პერსონალის, პოტენციური ხელმძღვანელების კვლევით გამოცდილებაზე. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის განსაზღვრას როგორც წინაპირობას, პროგრამა ვერ შეზღუდავდა ნიჭიერი კანდიდატების მიღებას რომლებიც ფლობდნენ სხვა უცხო ენას. თუ დოქტორანტს ეცოდინებოდა სხვა უცხო ენა მისთვის აუცილებლად იქნებოდა შეთავაზებული წყაროები სხვა ენაზე. გამოცდილებიდან გამომდინარე დოქტორანტების უმეტესობა იყო ინგლისურენოვანი, თუმცა სხვა ენაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა. აღსანიშნავი იყო რომ კვლევის მეთოდების სილაბუსი ინტეგრირებულად აერთიანებდა რამდენიმე მიმართულების კვლევის მეთოდებს და შედგენილი იყო გეოლოგიის, ბიოლოგიის და გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამებისათვის. სილაბუსი აერთიანებს მრავალ საკითხს და სწორედ ამ საკითხების შესაბამისი სპეციალისტები ჰყავდა უნივერსიტეტს. პროგრამა გახლდათ ინტერდისციპლინარული და წარმოდგენილი იყო მრავალი კუთხით.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ განაცხადა, რომ პროგრამის გამოწვევა გახლდათ სწორედ ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებზე გადასვლა, სადაც ახალი მოთხოვნებით პროგრამის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს გარემოსმცოდნება დარგობრივი სფეროს, რომელიც შეისწავლის ორგანიზმებს ურთიერთთან და გარემოსთან მიმართებაში. ასევე ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების მხედველობაში მიღებაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა პროგრამას განვითარებაში.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
შესვენების დაწყების დრო: 19:50
დამთავრების დრო: 20:10

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (“ეკოლოგიის” საბაკალავრო პროგრამა).
საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი ხარვეზების (ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების) გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ დაევალოს "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის საშუალებით.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების განაცხადი - სტუდენტისათვის სხვადასხვა საკითხების გაცნობის შესახებ, შეიცვალოს ისე, რომ პროგრამის მიზნები ნათლად ასახავდეს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
2. რეკომენდებულია პროგრამაში ჩართულ ქიმიის მიმართულების სასწავლო კურსებში (ქიმიის შესავალი, ქიმია, ეკოლოგიის ქიმიური ასპექტები) გაძლიერდეს პრაქტიკული უნარების განაცხადი და ამ უნარების განმავითარებელი აქტივობები, რაც გამოიხატება ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოების ფორმატით სწავლებაში.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „ქიმიის შესავალი“ და „ქიმია“ შინაარსობრივი გაუმჯობესება ისე, რომ არ იყოს საკითხების თანხვედრა.
4. რეკომენდებულია გააუმჯობესდეს სასწავლო კურსების „ზოოლოგია“, „ბოტანიკა“, სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსურობის, ლაკონურობისა და სასწავლო კურსის ფარგლებში ამ შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველყოფით.
5. გაძლიერდეს სფეროს შესაბამისი პრაქტიკული უნარების სწავლება საველე პრაქტიკის ფორმატში და საველე პრაქტიკა გახდეს უფრო მეტად კომპლექსური, რომელშიც გარემოს კომპონენტების ორგანიზმებზე ზემოქმედება განხილული იქნება ეკოლოგიური ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ფიზიკის მიმართულებით.

რჩევები:

1. პროგრამის მიზნებში პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხების ასახვა გააძლიერებს პროგრამას და ხელს შეუწყობს მის მდგრად განვითარებას.
2. ექსპერტთა რჩევაა სასწავლო კურსების მიზნების ფორმულირების გაუმჯობესება, ისე, რომ მიზანი არ იყოს ორიენტირებული სტუდენტისათვის გარკვეული საკითხების მხოლოდ გაცნობაზე. ზოგადად, ყველა კურსის მიზანი მის მიერ ფორმულირებულ

სწავლის შედეგებზე გასვლაა, შესაბამისად, სილაბუსებში საკვანძო მნიშვნელობა აქვს კურსის სწავლის შედეგების წარმოდგენას, ხოლო მიზანი განპირობებულია სწორედ ამ სწავლის შედეგებით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამა).

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე:12
მოწინააღმდეგე:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა:

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	**აკრედიტებული**
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 11 დეკემბრის N783 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა– 0311
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	კონომიკის ბაკალავრი (0701)
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 53ა
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა "ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებით.

სათათბირო შესვენება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შესვენების დაწყების დრო: 19:50
დამთავრების დრო:20:00

გადაწყვეტილება:

საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად და ყურადღება შეაჩერა დაწესებულების 2022 წლის 4 მარტის წერილზე N 225661, რომლის მიხედვით წარმოდგენილია ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის გადაწყვეტილება N 4-02/02 (ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის გაუქმების შესახებ), ამავე სკოლის სხდომის ოქმთან N 5-02/01 ერთად. დაწესებულების უფლებამოსილი პირის (რექტორის) მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ.

ვინაიდან, საბჭოზე განხილული საგანმანთლებლო პროგრამა დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ არის გაუქმებული, შესაბამისად საბჭო ვერ მიიღებს კანონმდებლობის ფარგლებში მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრულ ვერცერთ გადაწყვეტილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით, განიხილოს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით საკითხი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 12 აპრილის 20:15 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით